THE VILLAGE OF TSORBISI IN THE FRON VALLEY IN GEORGIAN- TURKISH HISTORICAL AND IN PRESS MATERIALS

ფრონის ხეობის სოფელი წორბისი ქართულ-თურქულ ისტორიულ დოკუმენტებსა და პრესის მასალებში

MARIAM KOBERIDZE
Doctor of Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251275, maikoberidze@gmail.com ,
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

Abstract.

The scientific work analyzes the historical past of the village of Tsorbisi in relation to modernity, life, etymology, toponymy, migration processes, monuments of material culture, folk traditions, shrines and beliefs. The research is based on Georgian-Turkish historical documents, archaeological data, ethnographic and press materials. The materials we have found are also presented.

The location of Tsorbisi is the right bank of the Eastern Fron, this is the upper course of the Dvani Fron, the foot of the mountain. The village is located on a mountainous-valley side with its relief and belongs to the mountain climate type. Tsorbisi is currently occupied. It is included in the administrative unit of the Tighvi municipality.

Due to the mountainous terrain, the name of the village may be metaphorically related to the eyebrow (the hairline above the eye), which must have been obtained by the transformation of sounds: eyebrow → tsorbi + is → tsorbisi. The name tsorbisi emphasizes the strategic and high location of the village, overlooking the surroundings.

From Tsorbisi, one of the historically important roads connecting Kartli and Imereti ran north through the mountains, which at one time played a certain role in strengthening the cultural, economic, and state unity of both parts of our country.

Along with other villages of the Fron Valley, Tsorbisi was part of the Ruisi Bishopric. The Ruisi Book of 1715 describes the following surnames living in the village of Tsorbisi: Shalbelikishvili, Bathkhadze, Maisuradze, Shoshiashvili, Savakolashvili, Khutsishvili, Tsotsolashvili, Sambakhidze, Koberidze, Goglidze, Sadzaglishvili, Kutishvili, Tabuashvili, Zambakhidze, Aduashvili.

Vakhushti and Ioane Bagrationi mention Tsorbisi when describing the settlements on the Dvanistskali and its tributaries. The royal, ecclesiastical, noble and aristocratic villages were: Bekmari, Sagolasheni, Aradeti, Tsveri, Breti, Dirbi, Dvani, Toliberi, Avnevi, Arkneti, Tsunari, Erkeneti, Tormaneuli, Ghvedreti, Nuli, Mavda, Tsorbisi, Uria, Kornisi, Rustavi,

The 1728 “Big Book of Tbilisi Province” provides us with interesting information about 78 households living in the village of Tsorbisi (Tsorbisi with the alternation of the sounds O-U). Many of the proper names mentioned in these materials later served as the basis for the formation of surnames: Naskida - Naskidashvili, Beri - Beridze, Berika - Berikashvili, Zakara - Zakarashvili, Giorga-Giorgadze, Lekvina - Lekvinadze ...

The village has preserved monuments of material culture: customs-old settlement, towers, hall church (VIII-IX centuries), Church of the Virgin Mary (IX-X centuries). In 1980, a tuff stone was found in the ruins of the monastery complex (early Middle Ages), on which two inscriptions made in old Georgian round letters (IX-X centuries) were confirmed.

Press materials ("People's Newspaper", "Arrow", "Rock") provide us with interesting and important information about the migration processes in the Fron Gorge in the second half of the 19th century, after the fall of serfdom, the settlement of Georgians from the mountains to the plains, the settlement of foreigners, the area of the villages and their inhabitants.

The documentary materials presented in the work clearly demonstrate the role of the village of Tsorbisi in the development of the Froni Gorge and the unwavering connection that existed for centuries between the local population and the common Georgian state and spiritual spaces.

Keywords: Froni Gorge, Tsorbisi, Georgian-Turkish descriptions, monuments of material culture, ancient Georgian inscriptions, migration processes, population,

მარიამ კობერიძე
ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995577251275, maikoberidze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

აბსტრაქტი.

სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია სოფელი წორბისის ისტორიული წარსული თანამედროვეობასთან მიმართებაში, ყოფა-ცხოვრება, ეტიმოლოგია, ტოპონიმია, მიგრაციული პროცესები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ხალხური გადმოცემები, სალოცავები და რწმენა-წარმოდგენები. კვლევა ემყარება ქართულ-თურქულ ისტორიულ დოკუმენტებს, არქეოლოგიურ მონაცემებს, ეთნოგრაფიულ და პრესის მასალებს. წარმოდგენილია ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიც.

წორბისის განლაგების ადგილია აღმოსავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირი, ეს არის დვანის ფრონის ზემო წელი, მთის ძირი. სოფელი თავისი რელიეფით მთიან-ველიან მხარეს წარმოადგენს და კლიმატურად მთის ჰავის ტიპს მიეკუთვნება. წორბისი ამჟამად ოკუპირებულია. ის შედის თიღვის მუნიციპალიტეტის ნულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

სოფლის სახელწოდება მთიანი რელიეფის გამო შესაძლებელია მეტაფორულად უკავშირდებოდეს წარბს (თმის ზოლი თვალის ზემოთ), რაც მიღებული უნდა იყოს ბგერათა ტრანფორმაციით: წარბი→წორბი+ ის→წორბისი. სახელი წორბისი ხაზს უსვამს სოფლის სტრატეგიულ და მაღალ მდებარეობას, რომელიც გადაჰყურებს გარემოს.

წორბისიდან ჩრდილოეთით მთებზე გადადიოდა ისტორიულად მნიშვნელოვანი ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა, რომლემაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის კულტურულ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

ფრონის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად წორბისი შედიოდა რუისის საეპისკოპოსოში. 1715 წლის რუისის დავთარში აღწერილია სოფელ წორბისში მოსახლე გვარები: შალბელიქიშვილი, ბათხაძე, მაისურაძე, შოშიაშვილი, საყვარელაშვილი, ხუციშვილი, წოწოლაშვილი, სამბახიძე, კობერიძე, გოგლიძე, საძაგლიშვილი, კუტიშვილი, თაბუაშვილი, ზამბახიძე, ადუაშვილი.

ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები დვანისწყალზე და მისი შენაკადების დასახლებული პუნქტების აღწერისას ასახელებენ წორბისს. სამეფო, საეკლესიო, სათავადო და სააზნაურო სოფლებს წარმოადგენდნენ: ბეყმარი, საღოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბერი, ავნევი, არკნეთი, წუნარი, ერკნეთი, თორმანეული, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბისი, ურია, ყორნისი, რუსთავი,

1728 წლის ,,თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი " გვაწვდის საყურადღებო ცნობებს სოფელ წურბისში (ო-უ ბგერათა მონაცვლეობით წორბისი) მოსახლე 78 კომლის შესახებ. ბევრი საკუთარი სახელი, რომელიც ამ მასალებშია მოხსენებული შემდგომ საფუძვლად დასდებია გვარების წარმოქმნას: ნასყიდა - ნასყიდაშვილი, ბერი-ბერიძე, ბერიკა-ბერიკაშვილი, ზაქარა - ზაქარაშვილი, გიორგა-გიორგაძე, ლექვინა - ლექვინაძე ....

სოფელში შემორჩენილია მატერიალური კულტურის ძეგლები: საბაჟო - ძველი ნასოფლარი, კოშკები, დარბაზული ეკლესია (VIII-IX სს.), ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (IX-X სს.). 1980 წელს სამონასტრო კომპლექსის (ადრე შუა საუკუნეები) ნანგრევებში აღმოჩნდა ტუფის ქვა, რომელზედაც დადასტურდა ძველი ქართული მრგლოვანი ასოებით შესრულებული ორ წარწერა (IX-X სს.).

პრესის მასალები (,,სახალხო გაზეთი", ,,ისარი", ,,კლდე") საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ფრონის ხეობაში მიგრაციული პროცესების, მთიდან ქართველი მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების, ხიზნების დასახლების, სოფლების სივრცისა და მცხოვრებლების შესახებ.

ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალები ნათლად აჩვენებს სოფელ წორბისის როლს ფრონის ხეობის განვითარებაში და იმ ურყევ კავშირს, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა ადგილობრივ მოსახლეობასა და საერთო ქართულ სახელმწიფოებრივ და სულიერ სივრცეებს შორის.

საკვანძო სიტყვები: ფრონის ხეობა, წორბისი, ქართულ-თურქული აღწერები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ძველი ქართული წარწერები, მიგრაციული პროცესები, მოსახლეობა,

შესავალი. ფრონის ხეობა შიდა ქართლის იმ საკვანძო არეალს წარმოადგენს, სადაც საუკუნეთა მანძილზე ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ინტერესები იკვეთებოდა. ამ ხეობის სოფელი წორბისი საკუთარ თავში ინახავს იმ მრავალშრიან წარსულს, რომელიც აისახა სულიერ და მატერიალურ კულტურაში - კოშკებში, ეკლესია-მონასტრებში, ონომასტიკაში, ხელნაწერებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში.

წორბისის ისტორიული პორტრეტის აღსადგენად ორი ტიპის რადიკალურად განსხვავებული წყარო მოგვეპოვება. ერთი მხრივ, ქართულ-თურქული ისტორიული დოკუმენტები, საეკლესიო თუ საერო ნუსხები, მეორე მხრივ კი -- XIX-XX საუკუნის პერიოდიკა (,,ივერია", ,,საქართველო", ,,სახალხო გაზეთი", ,,ისარი", ,,კლდე", ,,კომუნისტი"...), სადაც სოფელში მიმდინარე პროცესები და იმდროინდელი კულტურული მოვლენები სრულიად სხვაგვარ ცოცხალ კონტექსტშია წარმოჩენილი. ამ მასალების თავმოყრა, ურთიერთშეჯერება და ქრონოლოგიურად დღევანდელობასთან მიმართებაში შესწავლა საშუალებას იძლევა წორბისი დავინახოთ არ მხოლოდ როგორც ადმინისტრაციული ერთეული, არამედ როგორც ფრონის ხეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური კერა. დოკუმენტური მიმოხილვა ნათლად აჩვენებს სოფლის როლს რეგიონის განვითარებაში და იმ ურყევ კავშირს, რომელიც

საუკუნეების მანძილზე არსებობდა ადგილობრივ მოსახლეობასა და საერთო ქართულ სახელმწიფოებრივ თუ სულიერ სივრცეებს შორის. წარმოდგენილი ნაშრომი გახდება საფუძველი მომავალი, განზოგადებული ნაშრომებისა, რომელიც სოფლის კულტურულ-ისტორიულ წარსულს ეძღვნება.

მეთოდი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კომპლექსური მეთოდები: აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, ინდუქცია, დედუქცია, სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი. წორბისის შესახებ ისტორიული დოკუმენტების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების შედარება-შეპირისპირებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

მსჯელობა და შედეგები.

წორბისის განლაგების ადგილია აღმოსავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირი, ზღვის დონიდან 920 მ, თიღვიდან 15 კმ-ის და ყორნისიდან 13 კმ-ის დაშორებით. ეს არის დვანის ფრონის ზემო წელი, მთის ძირი. სოფელი თავისი რელიეფით მთიან-ველიან მხარეს წარმოადგენს და კლიმატურად მთის ჰავის ტიპს მიეკუთვნება. წორბისი ამჟამად ოკუპირებულია. ის შედის თიღვის მუნიციპალიტეტის ნულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

წორბისიდან ჩრდილოეთით მთებზე გადადიოდა ისტორიულად მნიშვნელოვანი ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა, რომლემაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის კულტურულ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცების საქმეში. ეს გზა მიდიოდა წორბისიდან გომართის ეკლესიის გავლით სერ-სერ, გადადიოდა პატარა ლიხონაზედ (ლიხის ქედზე), გაივლიდა მოტიტვლებულ მთას პერანგაზე და ჩადიოდა ჭალაში აბაშიძიანთ სოფელში (საქართველო,1916: 2).

ფრონის ხეობის დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი დვანის გზა აღნიშნულია ხუთვარსკვლავიან რუკაზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ სოფლებს: ბრეთი-დვანი-ავნევი-ერკნეთი-წორბისი-ყორნისი-პერანგა-დარკა-ჩიხი (გვასალია 1989: 4). როგორც ჩანს, ქართლიდან გადამსვლელებისათვის პერანგა იყო ხელსაყრელი და მოკლე გადასავლელი გზა ლიხის მთის უღელტეხილზე (ამჟამად საჩხერის მუნიციპალიტეტი).

ვახუშტი დვანისწყლის აღწერისას ახსენებს წორბისს: ,,რუისის დასავლეთით არს დვანის წყალი, ესე გამოდის თირის მონასტრიდამ წარსულ მთას, დის... სამხრით ერთვის მტკვარს ჩრდილოდამ ... აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდამ ნულის ჴევი ... ამ ჴევს ზეით მოერთვის აღმოსავლეთიდამ ყორნისის ჴევი ... ყორნის ზეით, წორბისს ერთვის ამ წყალს ხტამის ჴევი“ (ბაგრატიონი 1992:79).

სოფლის ეტიმოლოგიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურასა და მოსახლეობაში ინფორმაცია არ დასტურდება. სოფლის სახელწოდება წორბისი შესაძლებელია მომდინარეობს სიტყვისაგან ,,წორბი“, რაც მიღებული უნდა იყოს ბგერათა მონაცვლეობით ,,წარბი→წორბი+ ის-ი→წორბისი.

ვფიქრობთ, მთიანი რელიეფი პირდაპირ კავშირშია ტოპონიმის ანატომიურ წარმოშობასთან. ენათმეცნიერებაში ამ მოვლენას მეტაფორული ნომინაცია ჰქვია, როდესაც ხალხი გეოგრაფიულ ობიექტს სხეულის ნაწილის სახელს არქმევს მსგავსების გამო. სოფელი

მთის კალთის ნაწილზეა გაშენებული, ბუნებრივია მიიღებდა ასეთ სახელწოდებას. სოფლის სიახლოვეს შუაცხვირის მთაა (ცხვირს უწოდებენ მთის წინ წამოწულ ნაწილს). თუ შესაძლებელია, რომ რელიეფის ერთ ნაწილს შუაცხვირი ჰქვია, სრულიად ბუნებრივია, რომ მის ზემოთ ან გვერდით მდებარე შემაღლებულ ადგილს ,,წარბთან" მსგავსების გამო ეს სახელი შერქმეოდა. ის, რომ წორბისი და შუაცხვირი თითქმის გვერდიგვერდ არიან, ერთ სახედ აღიქვეს. შუაცხვირი არის ცენტრალური წინ წამოწეული ნაწილი, ხოლო წორბისი-მისი ზედა ან განაპირა ნაწილი ,,წარბი". შდრ. აჭარული დიალექტი - გაწარბვა ქვიან ადგილზე სწორი კვალის გავლება (კობერიძე, 2011: 74). წარბა ხშირად გვხვდება ქართულ მეტსახელებში: ,,მაღლა აწეული წარბის გამო"; ,,შეუვალობის გამო", ,,ხშირი წარბების გამო" და სხვა.

სიტყვის ტრანფორმაცია: წარბ-ის-ი→წორბ-ის-ი. -ის ადგილის მაწარმოებელი ელემენტია ტოპონიმებში: ბიჯნ-ის-ი, შინდ-ის-ი, ხც-ის-ი, წნელ-ის-ი, რუ-ის-ი, თბილ-ის-ი, ქუთა-ის-ი... სახელი წორბისი ხაზს უსვამს სოფლის სტრატეგიულ და მაღალ მდებარეობას, რომელიც გადაჰყურებდა გარემოს-ფრონის ხეობას.

ფრონის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად წორბისი შედიოდა რუისის საეპისკოპოსოში. 1715 წლის ,,რუისის სამწყსოს დავთრის" მიხედვით წორბისში სახლობს 30 კომლი. გადასახადი ადევთ შემდეგ გვარებს:

ქ. შალბელიქიშვილი გიორგი;

ქ. შალბელიქიშვილი ლევან;

ქ. ბათხაძე დათუნა;

ქ. ბათხაძე ბერი;

ქ. ბათხაძე ბერი მოურავი;

ქ. მაისურაძე მასურა;

ქ. მაისურაძე ივანე;

ქ. მაისურაძე გოდერძი;

ქ. შოშიაშვილი გიორგი;

ქ. საყვარელაშვილი ბერი;

ქ. ხუციშვილი ხახანა;

ქ. ხუციშვილი პაპუნა;

ქ. წოწოლაშვილი გოგია;

ქ. წოწოლაშვილი ნასყიდი;

ქ. წოწოლაშვილი ბერი;

ქ. ბოქოული;

ქ.რაჭველი თამაზა;

ქ. ფონჯაიძე ბერუა;

ქ. სამბახიძე გიორგი;

ქ. ადუაშვილი შიო;

ქ. კობერიძე მამუკა;

ქ. გოგლიძე თამაზა;

ქ. ასანა;

ქ. საძაგელი;

ქ. ციცუხიშვილი გიორგი;

ქ. კუტიშვილი პაპუნა;

ქ. შალიკი;

ქ. თაბუაშვილი სიდამო;

ქ. ზამბახიძე ბერი;

ქ. ადუაშვილი მღვდელი დავით.

ბოგანო[1] იხდის ნახევარ კოდსა[2]; და სხვა მთელს კოდს დრამას[3] იღებენ; ამათი სახუცო გამორჩეული ჴარი; ან ჴბოიანი ფური (თაყაიშვილი, 1907: 144, 145).

თითო კომლად არის წარმოდგენილი საძაგელი, მომავალი საძაგლიშვილი; რაჭველი, გოგლიძე და ვინმე შალიკი ანუ შალიკაშვილი. დღეს აღნიშნული გვარის ადამიანები სოფელში აღარ ცხოვრობენ, მაგრამ დარჩენილია ზოგიერთი ტოპონიმი ძველი გვარებისა და სახელების მიხედვით.

,,თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მთავრობის განკარგულების თანახმად შედგენილია 1728 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მოვლენილი თურქი მოხელეების (დევთარდარების) მიერ. ნაჰიების (რაიონების) მიხედვით მოცემული სოფლების სიას თანდართული აქვს სოფელში დასახლებულ კომლთა უფროსების სიები. ისე, როგორც სხვა ოსმალურ დოკუმენტებში.

თბილისის ვილაიეთში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი. გორის ლივაში შედიოდა საციციანოს, პეტრეს, ამილახვრის, შავი არაგვისა და შანშეს, მუხრანის, თრიალეთის და გუჯარეთის ადმინისტრაციული ერთეულები, გორის ციხე (რაბათი). აღნიშნული თურქული დოკუმენტი მნიშვნელოვანია ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიის შესწავლისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა დიდი და პატარა პუნქტების სახელწოდებები, სოფლები და ნასოფლარები.

---

[1] ბოგანო-გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში. ბოგანოდ ითვლებოდა უვენახო, მცირემიწიანი, ეკონომიურად ხელმოკლე გლეხი. ამის გამო არ იხდიდა ძირითად საბატონო გადასახადს (ღალას, კულუხს), მაგრამ გადასახადისაგან არ იყო თავისუფალი, იხდიდა ნაკლებს მკვიდრ გლეხთან შედარებით.

[2] კოდი-მარცვლეული კულტურის საწყაო XV-VIII საუკუნეში. ცნობილია 8, 10 და 12 ლიტრიანი კოდები. ლიტრის მასური ოდენობის ზრდამ განაპირობა კოდის ტევადობის ზრდაც. 10 ლიტრიანი კოდი XVI ს. იტევდა 18 კგ., XVII საუკუნეში- 25, 8 კგ. , XVIII ს. – 30-34 კგ. XIX ს. აღმოსავლეთ საქართველოში კოდის სიდიდე 50 კგ. საქართველოს სხვა კუთხეებში განსხვავებული იყო კოდის სიდი სიდიდე (ჯაგარიძე, 1980: 568).

[3] დრამა-წვრილი ვერცხლის ფული.

ფრონის ხეობა ექვემდებარებოდა ამილახვარს. დოკუმენტში დასახელებულია დვანის ფრონის 16 სოფელი (მათ შორის წორბისიც): საღვალაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლეთუბანი, ავნევი, წუნარი, თურმანეული, ბეყმარი, ნული, მალდა, წურბისი, ყორნისი, არკნეთი.

დოკუმენტში სოფელი ო >უ მონაცვლეობით დასტურდება: წორბისი>წურბისი.

აქ დასტურდება წორბისში მოსახლე 78 კომლი: გიორგი ძე ჯაჯანისი, ბერი ძე ბობიესი, ბერი ძე კოდასი, თამაზა ძე მისი, დტუნა ძე ბერისა, თამაზა ძე ივანესი, მამუკა ძმა მისი, ბერი ძე ხათვალასი, სარქისა ძე მისი, ბერი ძე ქიტესასი, ქიტესა ძე თამაზასი, შიო ძე მისი, ბათა ძე გიორგისა, ივანე ძე ბერუკასი, ბერი ძე მისი, ზაქარა ძე შიუკასი, ქრისთესია ძე ნონიასი, ბერი ძე ბაბუასი, გოდერძა ძე ხოსიასი, ზურაბ ძე მისი, ივანე ძე ბერისა, ივანე ძე ნასყიდასი, მამუკა ძე მისი, ესია ძე გიორგისა, კოკინა ძე მისი, გიორგი ძე სულხანისი, გაბრიელ ძე გიორგისა, გურგიჩა ძე მისი, ბერი ძე ბაბუნასი, ჯათუნა ძე მისი, სეხნია ძე მისი, ზურაბ ძე სიმრა ვერქისა , ივანე ძე ნათასი, მამუკა ძმა მისი, დთუნა ძმა ჯაჯანისი, თედორე ძმა მისი, ონი ძე თანდილასი, ჯათუნა ძმა მისი, პოპია ძე შოშიასი, ბერი ძე დუნიასი, შოშიტა ძმა მისი, თამაზა ძე ივანესი, ბერი ძე ხახიესი, ლექვინა ძე მისი, ბერო ძე თანდიკასი, თანდილა ძე მისი, ნათანა ძე ვარსიმასი, ბერი ძე მისი, მამუკა ძე გიორგისა, ბაბუნა ძე მისი, ბათა ძე ხახუტასი, კარსითან ძე მისი, ბერფინა ძე მისი, ბერი ძე დათასი, თამაზა ძე მისი, თათეუზ ძე ფერსიკასი, კარბისა ძმა მისი, გიორგი ძე ბერუასი, ბერი ძე აჩიკ ბაშისა, გიორგი ძე ავთანდილისა, ლეონიდ ძე ბივასი, ესთატე ძე ჯოკიასი, ბერი ძე მისი, ნასყიდა ძე ზაქარასი, გიორგი ძე ხოსიტასი, პაპუნა ძე მისი, გოდერძა ძე ივანესი, ჯაბარა ძე ბირასი, დოვლათა ძე მისი, ბისია ძე ჯათუნასი, ბერიკა ძე ჯობისიკასი, ადისა ძე მისი, თამაზა ძე ხოსიტასი, სეხნია ძე შომდასი, ხოსიტა ძე მისი, თამაზა ძე შოშიტასი, ბობა ძმა მისი, შიო ძე სეხნიასი (თბილისი ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009: 337--338).

ამ აღწერის მიხედვით გაწერილი იყო სხვადასხვა გადასახადი: წისქვილზე, ვენახზე, ღორზე, ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ცხვარზე, მიწის მფლობელობაზე.

ბევრი საკუთარი სახელი, რომელიც ამ მასალებშია მოხსენებული შემდგომ საფუძვლად დასდებია გვარების წარმოქმნას: ნასყიდა -ნასყიდაშვილი, ბერი-ბერიძე, ბერიკა-ბერიკაშვილი, ზაქარა -ზაქარაშვილი, გიორგა-გიორგაძე, ლექვინა - ლექვინაძე, ზაქარა-ზაქარაშვილი ....

აქ წარმოდგენილი პიროვნული სახელების ანთროპონიმული სურათი ძირითადად ორწევრიანია: სახელი+მამის სახელი: გოდერძა ძე ივანესი,თამაზა ძე შოშიტასი,ბობა ძმა მისი... შდრ. ,,რუისის სამწყსოს დავთარში“ პიროვნების სახელები ძირითადად ორწევრიანია: გვარი+ სახელი: მაჭარაძე შიო. ზოგჯერ გვხვდება სამწევრიანიც: გვარი+ საეკლესიო წოდება+ სახელი: სიქთურაშვილი მღვდელი ნიკოლოზ.

,,თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფლის სახელწოდებებისა და ანთროპონიმების სტრუქტურული ელემენტები და მაწარმოებელი საშუალებები შეესაბამება ქართული ენის ზოგად მოდელს და გამოხატავს იმ ტენდენციებს, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი (კობერიძე, 2025:75).

რაც შეეხება, სოფლიდან მოსახლეობის მოძრაობას, ისე როგორც ფრონის ხეობის სხვა სოფლებში, ქართველმა მოსახლეობამ მთიდან მთის ძირში და შემდეგ კი ბარში გადაინაცვლა, დროთა განმავლობაში წორბიდიდან მოსახლეობა სხვადასხვა ადგილებში გადასახლდა: მაისურაძეების გვარის ძირითადი ნაწილი დაბალ ზონაში, სოფელ ავნევში დასახლდა; შოშიაშვილები - სკრის ხეობაში, წოწოლაშვილები-გორის სოფლებში,

თაბუაშვილები - ქალაქ გორში, საძაგლიშვილები -ქვემო ნიქოზსა და ავნევში, კობერიძეები- ქარელის სოფლებში, ადუაშვილები - სოფელ ვარიანში.

სოფლის ჩრდილოეთ მხარეს არის გატყევებული ადგილი, სადაც ჯოხაძეებს უცხოვრიათ. აღსანიშნავია, რომ ჩაწერილი მასალების მიხედვით საძაგლიშვილების თავდაპირველი გვარი ჯოხაძე ყოფილა. ეს არის მიზეზი, რომ ამ ადგილებს დღესაც ,,ჯოხაძიანთ“ და ,,საძაგლიანთს“ ეძახიან.

მდინარის მარჯვენა მხარეს არის ადგილი, რომელიც ,,ლაჭერაანთის“ სახელით არის ცნობილი. გადმოცემის მიხედვით, აქ უცხოვრიათ ზემოხსენებულ დავთარში მოხსენიებულ რაჭველ თამაზას შთამომავლებსა და კობერიძეებს.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების აღწერაში დვანის-წყალზე და მისი შენაკადების ხეობებში შემდეგი დასახლებული პუნქტები მდებარეობდა (მათ შორის წორბისიც): ბეყმარი, საღოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბერი (ტოლიბური), ავნევი, არკნეთი (არკნები), წუნარი, ერკნეთი (ესკენეთი), თორმანეული, ბეყმარი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბისი, ურია (აჭურია), ყორნისი, რუსთავი, რომლებიც სამეფო, საეკლესიო, სათავადო და სააზნაურო სოფლებს წარმოადგენდნენ (ბაგრატიონი, 1941:79-81; ბაგრატიონი, 1986: 42).

წორბისში დღეს მცხოვრები გვარებია: გაბარაევი, გერგაულოვი, თედეევი, თიბილოვი, კაბისოვი, კაჯაევი, ფილიევი, ფარასტაევი, ძაგოევი, ჯიუევი.

გვართა მიგრაცია საქართველოში ნოყიერი მიწების ათვისებით და ნაწილობრივ მათ ყოფილ მემამულეთა ძალმომრეობისაგან თავის დახსნით იყო გამოწვეული. გლეხთა აყრა მამაპაპური მიწებიდან და სხვაგან გადასახლება ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელ პროცესს წარმოაგენდა (ანთელავა,& გუგუჩია, 1967: 129 - 181).

წორბისიდან საძაგლიშვილები გადასახლებულან ავნევში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საძაგლიშვილები ადრე ყოფილან ჯოხაძეები. იმის გამო, რომ ერთ-ერთი ბატონის დაუკითხავად ჩუმად დაქორწილებულა, ბატონს რომ გაუგია მისთვის საძაგლის შვილი შეურქმევია. ამის შემდეგ ის და მისი შთამომავლები გვარად საძაგლიშვილებს ატარებს (დათა მიხეილის ძე საძაგლიშვილი, დაბად. 1878 წ. სოფ. ავნევი) (გოგალაძე, 1968: 45).

წორბისიდან ავნევში საძაგლიშვილების დასახლებას შემდეგნაირად ხსნიან: ლეკიანობის პერიოდში წორბისში ერთ-ერთი თავდასხმის დროს საძაგლიშვილებიდან მხოლოდ ქალი გადარჩენილა ორი ვაჟიშვილით. ის გაქცეულა, ავნევში ჩასულა და ციხეში შეუფარებია თავი. შემდეგ მას იქვე შეუძენია მამული და დასახლებულა. ამ ორი ვაჟიდან შემდგომში გამრავლებულან აქ საძაგლიშვილები. სოფელ წორბისიდან ავნევში გადმოსახლებულებს კავშირი არ გაუწყვეტიათ სალოცავებთან: საძაგლიშვილები კი დადიოდნენ წორბისში - გომართის წმინდა გიორგის სალოცავში გომართობას (3 ივნისს). აქ ლოცულობდნენ, კლავდნენ შეწირულობას და ღამეს ათევდნენ (კობერიძე, 2025: 12).

მეთვრამეტე საუკუნის ბოლო წლებში სათავადოების საბუთებით დასტურდება, რომ ბარძიმ ამილახვრიშვილს წორბისის გლეხნი კუპატაძისათვის სამოურავოდ გადაუცია. ,,ჩვენი ყმების საუფლისწულოების მოურაობა ფხვენის, თამარაშენის, წორბის, რაც ამ სოფლებში მახლობელნი გლეხნი, ჩვენი ყმანი არიან და ან რაც დასახლდება და ან რაც საკომლოები გვაქვს ამ სოფლებში შენთვის გვიბოძებია სამოურაოდ. როგორც საამილახვროში მოურავები მოურაობენ, შენც ისე ერთგულად უნდა შემოუარო ამათ და

ამათგან კომლზე ერთ კოკას ღვინოს, დღესასწაულის დღეს ძღვენს, სართლოს ძღვენს, ერთ დღეს მკას, ერთს დღეს ბარვას იმსახურებდე, ქალი გათხოვდეს საჩექმეს[4] გამოართმევდე. ჩვენგანაც ჩვენი შემოსავლიდამ-შენი სახელოიდამ იქიდამ ათისთავს აიღებდე (საქართველოს მუზეუმი, ფ.HD, 2273).

ხიზნების დასახლება საფალავანდო მამულში იწყება მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან. ამ დროიდან ფრონის ხეობის სოფლებში მემამულეები ხიზნებს ასახლებდნენ ბალთაში, ბეყმარში ძაღინაში, ოჟორაში, წორბისში. 1850 წლიდან ხიზნებს ასახლებენ მეტეხში, ღარისთავში, სხლითში, ხტანაში, თორმანეულში, ამბრეთში, განიანთკარში, ხოდაში, ფრინევში, მუღრისსა და ქვათეთრში. ხიზანთა გადასახადები სხვადასხვანაირი და მრავალფეროვანი იყო. მათი ვალდებულება - გადასახადები კატეგორიების მიხედვით დგინდებოდა, იყო ხიზანთა შემდეგი კატეგორიები: ,,ლიტრის ხიზანი", ,,სამი ჩარექის ხიზანი", ,,ნახევარი ლიტრის ხიზანი", ,,ჩარექის ხიზანი", რომელთა საგადასახადო განაწესი სხვადასხვა ოდენობით განისაზღვრებოდა (სახალხო გაზეთი, 1914: 6).

ხიზნების ჩამოყალიბება ბატონყმურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში დაწყებული რღვევის პირველი ნიშნების შედეგი იყო.

1885 წლის 5 ივნისის თარიღით წორბისის, ხტანასა და ციხიათის ხიზნები თავიანთ განცხადებაში ჩიოდნენ, რომ ფალავანდიშვილებმა მათ პოლიციის ძალით ჩამოართვეს ხელწერილები გადიდებულ გადასახადებზე. ხიზნების საჩივარი ამ საქმის გამო მომრიგებელ შუაამავალ თავად თ. ციციანოვს გადასცეს, რომელმაც მოსპო ეს საბუთები და ახალი, უფრო გადიდებული გადასახადები დააწესა (ცსსა, ფ.12, საქმე 53, ფ.14).

გაღატაკებულ გლეხობას ყოველთვის არ შეეძლო გადასახადების გადახდა. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ყორნისის ხეობის სოფლებში, ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხის სოფლებში, სამხედრო ეგზეკუციას აყენებდნენ. 1883-1884 წლებში სამხედრო ეგზეკუცია იდგა არკნეთში, წორბისში, ყორნისში, თორმანეულში, ბეყმარში, მავდაში, საჯვარეში და მუგუთში (ცსსა, ფ. 48, ს. 433). ხშირად ამ გამოსვლაში მოსახლეობის ყველა ფენა იღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ბრძოლა მემამულე თავადებსა და ხიზნებს შორის[5].

1905 წლის დასაწყისიდან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაიწყო გლეხთა რევოლუციური კომიტეტების არჩევნები. გლეხთა რევოლუციური კომიტეტების არჩევნები ეწყობოდა სოფლის საზოგადოების ყრილობებზე. აქვე ირჩევდნენ ასისთავებს და ათისთავებს. ამ პერიოდში ასისთავებად არჩეული იქნენ: ილიკო ჯიოევი-ყორნისში, გაბრიელ კოზაევი-ბეყმარში, ვანო ჯაგაევი-თორმანეულში, არჯევან კოზაევი-ამბრეთში, სავლაგ კაჟაევი - წორბისში, პაპაშვილი (სახელი უცნობია)-არკნეთში. მათ საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ყორნისელი შაქრო ვალიევი (რევოლუციის მატიანე, 1924: 42-43).

---

[4] საჩექმე ფული- 15-20-30 მანეთი უნდა გადაეხადა გლეხს გლეხის ოჯახს ქალის გათხოვებისას. ყმა ვერ გაათხოვებდა თავის ქალს გადასახადის გადახდის გარეშე (სახალხო გაზეთი, 1911, # 236: 1).

[5] ხიზანი ბატონყმურ საქართველოში ეწოდებოდა ფეოდალის მიწაზე დასახლებულ გლეხს, რომელიც პირადად თავისუფალი იყო, სარგებლობდა მემამულის მიწით უვადო მემკვიდრეობითი უფლების საფუძველზე და იხდიდა ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ გადასახადს,

ხიზნობასთან დაკავშირებით საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელი პრესის მასალები. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კიდევ უფრო მატულობს ხიზნების ჩამოსახლების პროცესი ფრონის ხეობაში. მემამულეები ერთმანეთის ჯიბრით ასახლებდნენ ხიზნებს და ქართლის სიმდიდრეს - ტყეებს სისტემატიურად აკაფვინებდნენ ხიზნებს. მემამულეები ამით არ კმაყოფილდნენ და დროებით ვალდებულ გლეხებს ართმევდნენ ჩამონაჭრებს და ზედ ხიზნებს ასახლებდნენ. მემამულეების სასარგებლოდ ხიზნები იხდიდნენ: 1) შახტის ანუ მუშის ფულს. თითო კომლი ყოველწლიურად იხდის 6 მანეთიდან- 12 მანეთამდე. 2) ვინც ფულს არ იხდის, მუშა აქვთ დადებული. 12 დან 24 დღე უნდა მიეხმაროს მემამულეს, რაშიც დაისაჭიროებს. 3) ერთი კვირა ცხენიანი კაცი უნდა ეახლოს მემამულეს. 4) ერთი ურემი სარი. 5) ორ წელიწადში ერთხელ ერთი ურემი მარგილი. 6) ერთი საკლავი. 7) შობისა და აღდგომის ძღვნები. 8) საყველიერო. 9) ღალის ქათმები. 10) ღალა კოდ-ნახევარი (7 ნახ. ფუთი) დღიურზედ, რაც მოხნული და დათესილი იქნება უნდა იხადოს (სახალხო გაზეთი, 1913: 3).

ცხრილი სოფლების სივრცისა და მცხოვრებლებისა:

სოფლები	სახაზინო		სანადელო		რამდენი დესეტინა უჭირავს სოფელს ტყე	სოფელი რა ეროვნებას ეკუთვნის
	მცხოვრებნი	სახნავი დესეტინა	მცხოვრებნი	სახნავი დესეტინა		
ქვათეთრი	38	324	-	-	-	ოსი
ხოდა, წუნარი, არკნეთი და კროჟის უბანი	39	340	-	-	72	ოსი
ბეყმარი, თორმანეული, ამბრეთი და განინ -კარი	135	800	-	-	70	ოსი
სამწყალი, ფრინევი-თხის ზურგი	36	350	-	-	228	ოსი
სხლითი	42	222	-	-	200	ოსი
მუღრისი,	32	400	8	10+20	60	ოსი და ქართველი
წორბისი, ღვიაგინა	65	500	-	-	700	ოსი

ცხიანი	19	250	-	-	50	ოსი
ხტანა	79	400	-	-	-	ოსი
ოჟორალსა	41	350	-	-	150	ოსი
გადიგანა, თელაგან ტოტინაური	17	150	-	- ნად.გარ.	450	ოსი
ახალშენი	10	100	36	68+62	200	ოსი და ქართველი
თერეგვანი	27	200	23	56+44	150	ოსი და ქართველი
ძაღინა	42	270	-	-	80	ოსი
მუხური საყარაულო	15	100	-	-	70	ოსი
ერწო-ნაგუთნი	20	110	-	-	150	ოსი
ნავთი-მორევი	3	15	-	ნადელი გარეთ	-	ოსი
ხუნდისუბანი	15	170	61	87+ 100	85	ოსი და ქართველი
ფიჭვიგანა	19	160	-	-	40	ოსი
ჩდილა	11	80	-	-	32	ოსი
ღარისთავი	19	160	-	- ნად გარეთ	40	ოსი
გიორგიწმინდა შინდრა	20	100	-	33+57	95	ოსი და ქართველი
მეტეხი	20	100	-	-	150	ოსი
ჭურისხევი	8	50	-	-	100	ოსი
ბალთა	48	180	-	-	35	ოსი

ჭვრინისი-ქალეთი	15	200ა	-	-	120	ქართველი
ლოპანი-გვირგვინა	11	150	-	-	158	ოსი და ქართველი
ბზების-ხევი	7	35	-	-	40	ქართველი
ჯვართელი, ნიბოსტანა	8	40	-	-	40	ქართველი

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ხიზნები ძირითადად ოსები იყვნენ. სოფელ წორბისს ეჭირა 700 დესეტინა ტყე და 500 დესეტინა სახნავი მიწა. ჩამოსახლდა 65 ოსი ხიზანი (სახალხო გაზეთი, 1913: 3).

არჩილ ჯორჯაძე ხაზს უსვამს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ოსთა ჩამოსახლების პროცესს ქართლში. ეს პროცესში ერთი-ორად მატულობს ფრონის ხეობაში. აქ გაშენდა სხვა სოფლები. ამ სოფლების გაშენების გამო მოისპო 8, 500 ზომის ტყე საფალავანდო მამულში. სად და ვის მიწაზე სახლდებიან ოსები? დროებით ვალდებულ გლეხებისაგან ჩამორთმეულ ჩამონაჭრებზე: თიღვა, თერეგვანი., ახალშენი, ხუნდის უბანი, ტყის უბანი, ნაბაკევი და შინდარა დროებით ვალდებულ გლეხებს ეკავათ. თანდათან ამ სოფლებში მკვიდრდებიან ხიზანები. წორბისში ცხოვრობდნენ ქართველი გლეხები, გვარად მაისურაძეები, ტაბუკაძეები და კობერიძეები. დღეს კი არც ერთი მათი გვარისა და მოდგმისა აღარ ცხოვრობს. მათ ადგილზე ხიზნები დამკვიდრდნენ, იმავე მოვლენას ვხედავთ სხვა სოფლებში, სადაც ქართველები სახლობდნენ და დღეს აღარ ცხოვრობენ. ახალშენში დროებით ვალდებულ გლეხებს ჩამონაჭრები ჩამოერთვათ და ოსებს გადაეცათ. იგივე მოხდა ავნევში (ჯორჯაძე, 1911: 46).

მემამულენი ორიოდე გროშისათვის უამისოდაც ვიწრო ადგილზე ახლებს ასახლებდნენ, აჩეხინებდნენ ტყეებს და ბუნებით მდიდარ ქვეყანას გავერანებას და გატიალებას უმზადებენო (კახელი, 1913: 17).

მთები, საიდანაც მომდინარეობენ ფრონეები, დაბურულია გაუვალი ტყეებით. დღეს ეს გაუვალი ტყეები ისპობა შეუბრალებელ კაცის ხელით.. ამ ტყეების პატრონებმა ჩაასახლეს ხიზნები. ესენიც არსებობის გულისთვის ჰკაფავენ ტყეებს და ამინდვრებენ სამამულედ. მამული მომეტებულად უვარგისი და კლდიანი დგება. მემამულეები ჩქარობენ დაიჭირონ სხვაზე მეტი მამული. თითქოს ქართლის საზარლად ისპობა ტყეები, პატარავდებიან ფრონეები და იცვლება ჰაერი, რის გამოც გახშირდა სეტყვა და ყინვა. ამას არ კმარობენ, არ კმაყოფილდებიან ამათ ღალებს, ფულს თავიანთ ნაყმევებს, დროებით ვალდებულ გლეხებს ართმევენ ჩამონაჭრებს სადაც ზედ ხიზნებს ასახლებენ (ისარი, 1907: 3).

გაზეთ ,,ისარში“ დაბეჭდილი კორესპონდენციიდან ვიგებთ, რომ დროებით ვალდებული გლეხი უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ხიზანი. დროებით ვალდებულ გლეხს არ ჰყოფნიდა ნადელში მიცემული მამული, ტყეს ჰკაფავს, ამინდვრებს და სახნავად აკეთებს. მემამულე ართმევს ამ მიწას, როგორც ნადელ გარეთ მამულს და ხიზანს აძლევს. რა ჰქნას გლეხმა? ვის მიმართოს? კანონს? კანონთ დროებით ვალდებულ გლეხს ნადელზე მეტი არა აქვს უფლება ეჭიროს, მემამულის სურვილზეა დამოკიდებული.

ხიზანს მამულით სარგებლობაში გლეხზე მეტი უპირატესობა აქვს. ხიზანს უფლება აქვს ტყიდან ხე გამოიყენოს საწვავად და შენობისათვის. . გლეხს უფლებ არ აქვს ურმისათვის ტაბიკი მოჭრას. გლეხი ხიზანზე უფრო მეტს იხდის; საძოვარს შინაური საქონლისათვის უფასოდ ვერ შოულობს, ხიზანს კი , რამდენიც უნდა საქონელს - თხა-ცხვარს, ღორს გაიჩენს და საბალახეს არ იხდის. გლეხი ყოველმხრივ დაჩაგრულია, მისალმების დროს მემამულე ხიზანს ხელს ართმევს, გლეხს კი მარტო თავის დაკვრით უპასუხებს. ჯერაც არ შეჩერებულა ხიზანთა დასახლება ფრონის ხეობაში, დიდი ხანი არ არის, რაც დროებით ვალდებულ გლეხებს ჩამონაჭრები ჩამოერთვათ და ოსებს გადაეცათ ავნევში, ყორნისსა და სხვა სოფლებში (ისარი, 1907: 3).

ხშირად ისტორიული ხიზნებიც ხდებოდნენ მოიჯარე გლეხები მემამულეების მეცადინეობით (სახალხო გაზეთი, 2014: 5).

როგორც ცნობილია, ფრონის ხეობა შედიოდა მეთექვსმეტე საუკუნიდან ზემო ქართლის სადროშოში, რომლის მედროშენი ანუ სარდლები ამილახვარები იყვნენ. სადროშოს ცენტრი იყო ქალაქი გორი. ზემო ქართლის სადროშოს ტერიტორიაზე განლაგებული იყო დიდი მნიშვნელობის სიმაგრეები, როგორიცაა: ყორნისისა და წორბისის კოშკები, ავნევის ციხე, ნულის ციხე და სხვა. ამ ციხე-სიმაგრეებს თავდაცვისათვის ჰქონდათ სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომ დაზიანებისთანავე ხდებოდა მათი აღდგენა .

XVI -XVII საუკუნეში საქართველოში ძლიერდება თურქ-ოსმალთა და სპარსელთა პოლიტიკური ბატონობა, რასაც მოჰყვა ლეკებისა და ქისტ-ჩაჩნების გამანადგურებელი თარეში. ამისათვის საჭირო იყო ციხეების, ციხე-გალავნის, მაგარი კოშკების აგება თავდაცვისათვის. XVI საუკუნეში კაჟიანი თოფების შემოღებამ კოშკის სართულების კედლებში სათოფურების გაჩენა განაპირობა. ამ მხრივ, საინტერესოა ფრონის ხეობის თავდაცვითი მნიშვნელობისათვის კოშკების სტრატეგიული მდებარეობა.

სოფელი წორბისი მდებარეობს ყორნისიდან დასავლეთით, მდინარის გაღმა. აქ მდგარი კოშკი ფრონეს ხეობას მარჯვენა მხრიდან დარაჯობდა. კოშკი ხუთსართულიანია. მას ორი შესასვლელი აქვს: ერთი პირველ სართულზე, მეორე-მეორე სართულზე. პირველ სართულს არა აქვს სათოფურები, მცირე სარკმელი აქვს აღმოსავლეთ კედელში, ზედა ოთხი სართულის თითო კედელში ორ-ორი ვიწრო სათოფურია. კოშკს აქვს ბევრი პატარა ნიში. მეორე სართულზე გამმართულია ერთადერთი ბუხარი. ყველა სართულის კედლებში მოთავსებულია სამეურნეო დანიშნულების მცირე ზომის ნიშები. კოშკი აშენებულია ფლეთილი ქვით, მხოლოდ კარ-სარკმლებია დამუშავებული თლილი ქვით. წორბისის კოშკს ბევრი საერთო აქვს ყორნისის კოშკთან . მისი ანალოგიით XVII საუკუნით თარიღდება (ზაქარაია, 1958: 119; გვასალია, 1989: 15).

წორბისში მაღლობზე მდებარეობს კომპლექსი საბაჟო, რომელსაც უკავია დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი. იგი შემოზღუდული ყოფილა ქვიტკირის გალავნით. დარჩენილია მისი მცირე ნაწილი. იგი ძველი ნასოფლარია. აქედან ერთი გზა გადადის რაჭა - ლეჩხუმისაკენ; მეორე გზა: წორბისი - ყორნისი - ცხინვალი- გორი-თბილისი. რაჭიდანაც ამ გზით გადმოდიოდნენ ფრონის ხეობაში. საბაჟოში დარჩენილია ერთი ქვიტკირის კოშკი, ნაგები მოვარდისფერო კარგად ნათალი კლდის ქვით. კოშკი ოთკუთხაა, თავმორღვეული, სათოფურები არ აქვს. მეორე და მესამე სართულებზე გამართულია ბუხარი და თახჩები. საბაჟოს კოშკი მიეკუთვნება XV-XVI საუკუნეებს (მაკალათია, 1963: 36; გვასალია, 1989:15).

კოშკის გვერდით დგას მცირე ერთნავიანი, დარბაზული ეკლესია VIII-IX საუკუნეების, რომელიც ნაგებია მოყვითალო ქვიშაქვით. ალაგ-ალაგ წყობაში ჩატანებულია წვრილი ქვა. ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა აღმოსავლეთით დასრულებული სწორკუთხა საკურთხეველი აქვს, რომლის ცენტრში მაღალი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. დასავლეთით კუთხის პილასტრებია. სამხრეთი პილასტრა შესასვლელს ებჯინება. სარკმლის კვალი მხოლოდ სამხრეთიდანაა შემორჩენილი. ეკლესიაში მიწის დონე აწეულია. ეკლესიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან აკრავს გვიანდელი მინიშნებები. სამხრეთი მინაშენის კედლის თაღები კრონშტეინს[6] ეყრდნობა. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა, კარი ნაოთხალია. ორივე მინაშენის კედლების საერთო სიმაღლე 1-1, 5 მეტრს აღწევს. ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლებიც და მინაშენიც დაზიანებულია. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით (შიდა ქართლის ზნაურის (ყორნისი) რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2004: 152).

სოფელ წორბისში მდებარეობს IX-X საუკუნეების დარბაზული ეკლესია, რომელიც ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. კუთხეებში გამოყენებულია თლილი ქვის კვადრები[7]. ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა. აღმოსავლეთით დასრულებული აბსიდით. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია ფართო შვერილებით. კედლების ძლიერი დაზიანების გამო სარკმლები არ შეინიშნება. სამხრეთ შესასვლელი შიგნით არქიტრავული[8], გარედან კი თაღოვანია. ფასადების დეკორაციული აქცენტებიდან აღსანიშნავია სამხრეთი კარის მორთულობა. შემორჩენილია თაღის ოღი თლილი ქვა. წარბის ფორმის თაღის მთელი არე დაფარულია ორლენტოვანი გეომეტრიული წნულით. ასეთი კვეთა ანალოგიურია X-XI საუკუნის ძეგლებისათვის. შესაძლოა მოგვიანებით დასავლეთ კედელშიც გაჭრეს კარი, რაზედაც მიგვანიშნებს ამავე კედლის შუა მონაკვეთში არსებული ღიობი. ეკლესიის თაღ-კამარა და კედლის ზედა ნაწილები ჩამონგრეულია. ინტერიერში და ძეგლის გარშემო ყრია ჩამონაშალი ქვა(შიდა ქართლის ზნაურის (ყორნისი) რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2004: 157)..

სოფელ წორბისის ჩრდილოეთით, 8 კილომეტრზე, მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირის აყოლებით დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებში 1980 წელს აღმოჩნდა ნანგრევის მრგვალი სვეტის (კოლონის) ფუძის ღვინისფერი ტუფის ქვა. ბაგრატ ტეხოვმა, ოსებ მეგრელიძემ, ნოდარ მესხრიკაძემ და მიხეილ ცოტნიაშვილმა ამ ქვაზე გამოავლინეს ძველი ქართული მრგლოვანი ასოებით შესხრულებულია ორი წარწერა. დაქარაგმებულ (შემოკლებულ) სიტყვათა ასოების აღდგენითა და ძველქართული მრგლოვანი ასოების თანამედროვე მხედრული ასოების გადმოცემით მთავარი წარწერა ი. მეგრელიძემ ასე წაიკითხა:

,,ს(ა) ხ(ე)ლ(ი)თა ღ (მრ) თის (აჲ)თა ესე

კ (ო)ნქიშ (ე) მნ (ა) ივ (ა)ნე

ერ (ი) სთ (ა) ვმ (ა)ნ (სალო) ცვ(ე)ლ (ა)დ

მ (ა) თდა ქრ (ო)ნ(ი)კ(ო)სა რს

[6] კრონშტეინი-ირიბი ბრჯენი კედლებზე, სვეტებზე კარნიზის, აივნისა და სხვა ნაწილების გასამაგრებლად.

[7] კვადრი- პარალელიპიპედის ფორმის თლილი ქვა, რომელსაც იყენებენ კედლის ასაშენებლად.

[8] არქიტრავული-სწორხაზოვანი გადახურვა.

ს (ა)ბაის მ (ა)მ(ა) ს(ა)ხლ (ი)ს(ო)ბ (ა) სა“

კიდის წარწერა კი ასე გაიშიფრა:

,,(ი)ქ(მ)ნა ჴ(ე)ლ(ი)თა ბარ(ე)ლის(აი)თა“. (მეგრელიძე, 1997: 94-97). გამოთქმულია მოსაზრება, მეოთხე სტრიქონი მათდა შეიძლება ივანე ერისთავის შვილებს გულისხმობს (შდრ. დოდოთის წარწერა- ,,სალოცველად,,, ხუთთა ძეთა“ (შოშიაშვილი, 1980: 176).

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ძირითადი წარწერის ,,ცვლად“ სიტყვამ, რომელიც ,,მლოცველად“ ამოიკითხა იოსებ მეგრელიძემ, ხოლო აკაკი შანიძემ -- ,,სალოცველად“ (მეგრელიძე, 1981: 3). რ ასოს მიხედვით ი. მეგრელიძემ წარწერის თარიღი განსაზღვრა 880 წლით. ეს მოსაზრება გაიზიარა ალ. ღლონტმა. არქეოლოგმა ო. ტყეშელაშვილმა, ქორონიკონის ასოებში რ-ს ნაცვლად ამოიკითხა რპ, თარიღი-960 წელი (Ткешелашвили, 1984: 71).

ინტერესს იწვევს წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავის იდენტიფიკაციის საკითხი. ორივე მკვლევარი მოხსენებულ ივანეს უკავშირებს ერისთავ ტბელთა საგვარეულოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ი. მეგრელიძე აიგივებს ერედვის 906 წლით დათარიღებული წარწერის ,,ივანე ეპისკოპოსთან“, ო. ტყეშელაშვილს იგი მიაჩნია: დოდოთის ცხრაკარის წარწერაში მოხსენიებულ ,,ივანედ“, რომელიც იყო პეტრე ერისთავის შვილი და ქავთარ ერისთავის მამა. (ტყეშელაშვილი, 1990: 15).

ჯ. გვასალია არ იზიარებს არც ერთ მოსაზრებას, რომელიც ქრონოლოგიურად შორსაა ორივე ივანესაგან, რომელთაგან ერთი იხსენიება 906 წლის ძეგლში, მეორე XI საუკუნის წარწერაში. მისი აზრით, ივანე შესაძლებელია საქართველოს ერისთავი ყოფილიყო, რომლის რეზიდენცია ფრონის ხეობის სათავეში არსებული საქართლის ციხე უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება წორბისის წარწერის შესრულების თარიღს, მას 960 წელი მიაჩნია (გვასალია, 1989: 15).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წორბისის წარწერის ივანე, დირბის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერაში დამოწმებული იოანე ერისთავი და ისტორიული წყაროებით ცნობილი ქართლის ერისთავი ივანე მარუშისძე ერთი და იგივე პიროვნებაა (გაგოშიძე, ჩიხლაძე, 2006: 39-42).

საქართლის ციხე მდებარეობს სოფ. ყორნისიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ზე, დვანის ფრონის სათავეში. მას ჩამოუდის საქართლის წყალი, რომელიც შეერთვის ფრონეს. საქართლის ციხე ქართლ-იმერეთის სასაზღვრო ციხეა. მასზე გადიოდა იმერეთიდან ქართლზე მომავალი გზა. საქართლის ციხის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: წორბისს ზეით, ამ წყალზედა, მთასა შინა, არს ციხე საქართლისა, მაგარი“ (ბაგრატიონი 1992:79).

ციხე ძნელად მისადგომ ადგილზე. ჩრდილო-დასავლეთით მას აკრავს ღრმა ხევი, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან შეიძლება ციხის გალავანში შესვლა. ციხე ნაგებია კლდის ფლეთილი წვრილი ქვით დუღაბზე. კარი აღმოსავლეთ ნაწილშია მიწის დონიდან 2, 5 მ. სიმაღლეზე. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დგას ოთხსართულიანი მრგვალი კოშკი. სართულშუა გადახურვა არაა შემორჩენილი. კოშკს აქვს სათოფურები. კარი აქვს მეორე სართულზე. საქართლის ციხე გამაგრებული ჰქონია გივი ამილახვარს, როდესაც მან მოუწყო აჯანყება ნადირ შაჰს (ქართლის ცხოვრება, 1859: 363).

ს. მაკალათიას საქართლის ციხე ნაგებობის ტექნიკისა და გეგმის მიხედვით XI-XIII საუკუნებისად მიაჩნია (მაკალათია, 1963:37). ჯ. გვასალია გამოთქვამს ვარაუდს, რომ საქართლის ციხის ადგილას განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ან უფრო ადრეც ფუნქციონირებდა ციხე (გვასალია, 1989: 17). ამის საფუძველს მას აძლევს ლაშა გიორგის შეწირულობის წიგნი ქვათახევისადმი: ,, ... დაგუაჯერა ღმერთმან ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი ერისთავთ- ერისთავისათვის სულა ქართლის ერისთავისაი და სუელნეთი გამოგუიღია საქართველოს ერისთავისაგან და შეგუწირავს... ქვათაჴევისადმი“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1965: 35).

ამრიგად, ქართულ-თურქულ დოკუმენტებსა და პრესისი მასალებში მასალების თავმოყრამ და ანალიზმა ქრონოლოგიურად დღევანდელობასთან მიმართებაში წარმოაჩინა სოფელი წორბისი, როგორც ფრონის ხეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების აქტიური კერა.

წორბისის განლაგების ადგილია აღმოსავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირი, ეს არის დვანის ფრონის ზემო წელი, მთის ძირი. სოფელი თავისი რელიეფით მთიან-ველიან მხარეს წარმოადგენს და კლიმატურად მთის ჰავის ტიპს მიეკუთვნება. წორბისი ამჟამად ოკუპირებულია. ის შედის თიღვის მუნიციპალიტეტის ნულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

სოფლის სახელწოდება მთიანი რელიეფის გამო შესაძლებელია მეტაფორულად უკავშირდებოდეს წარბს (თმის ზოლი თვალის ზემოთ), რაც მიღებული უნდა იყოს ბგერათა ტრანფორმაციით: წარბი→წორბი+ ის→წორბისი. სახელი წორბისი ხაზს უსვამს სოფლის სტრატეგიულ და მაღალ მდებარეობას, რომელიც გადაჰყურებს გარემოს.

წორბისიდან ჩრდილოეთით მთებზე გადადიოდა ისტორიულად მნიშვნელოვანი ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა, რომლემაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის კულტურულ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

ფრონის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად წორბისი შედიოდა რუისის საეპისკოპოსოში. 1715 წლის რუისის დავთარში აღწერილია სოფელ წორბისში მოსახლე გვარები: შალბელიქიშვილი, ბათხაძე, მაისურაძე, შოშიაშვილი, საყვარელაშვილი, ხუციშვილი, წოწოლაშვილი, სამბახიძე, კობერიძე, გოგლიძე, საძაგლიშვილი, კუტიშვილი, თაბუაშვილი, ზამბახიძე, ადუაშვილი.

ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები დვანისწყალზე და მისი შენაკადების დასახლებული პუნქტების აღწერისას ასახელებენ წორბისს სხვა დასახლებულ პუნქტებთან ერთად.

,,თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ გამოვლინდა საყურადღებო ცნობები სოფელ წურბისში (ო-უ ბგერათა მონაცვლეობით წორბისი) მოსახლე 78 კომლის შესახებ. ბევრი საკუთარი სახელი, რომელიც ამ მასალებშია მოხსენებული შემდგომ საფუძვლად დასდებია გვარების წარმოქმნას: ნასყიდა - ნასყიდაშვილი, ბერი-ბერიძე, ბერიკა-ბერიკაშვილი, ზაქარა - ზაქარაშვილი, გიორგა-გიორგაძე, ლექვინა - ლექვინაძე .... სოფლის სახელწოდებებისა და ანთროპონიმების სტრუქტურული ელემენტები და მაწარმოებელი საშუალებები შეესაბამება ქართული ენის ზოგად მოდელს და გამოხატავს იმ ტენდენციებს, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი

სოფელში შემორჩენილია მატერიალური კულტურის ძეგლები: საბაჟო - ძველი ნასოფლარი, კოშკები, დარბაზული ეკლესია (VIII-IX სს.), ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (IX-X სს.). 1980 წელს სამონასტრო კომპლექსის (ადრე შუა საუკუნეები) ნანგრევებში აღმოჩნდა ტუფის ქვა, რომელზედაც დადასტურდა ძველი ქართული მრგლოვანი ასოებით შესრულებული ორ წარწერა (IX-X სს.).

პრესის მასალები (,,სახალხო გაზეთი", ,,ისარი", ,,კლდე") საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ფრონის ხეობაში მიგრაციული პროცესების, მთიდან ქართველი მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების, ხიზნების დასახლების, სოფლების სივრცისა და მცხოვრებლების შესახებ.

წორბისში დღეს მცხოვრები გვარებია: გაბარაევი, გერგაულოვი, თედეევი, თიბილოვი, კაბისოვი, კაჯაევი, ფილიევი, ფარასტაევი, ძაგოევი, ჯიუევი.

ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალები ნათლად აჩვენებს სოფელ წორბისის როლს ფრონის ხეობის განვითარებაში და იმ ურყევ კავშირს, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა ადგილობრივ მოსახლეობასა და საერთო ქართულ სახელმწიფოებრივ და სულიერ სივრცეებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ანთელავა, ი. & გუჩუა, ვ. (1967). *საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი.

ბაგრატიონი, ვ. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. (საქართველოს გეოგრაფია).* თბილისი.

ბაგრატიონი, ვ. (1992). *გეოგრაფია. წიგნი გამოსაცემად მოამზადა მ. ჯანაშვილმა.* თბილისი.

ბაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა.* თბილისი.

გაზეთი ,, ისარი". (1907). *# 208*, 3.

გაზეთი ,,სახალხო გაზეთი" (1911). # 236, 1.

გაზეთი ,,სახალხო გაზეთი" (1913). # 1042, 3.

გაზეთი ,,სახალხო გაზეთი" (1913). # 1059, 3.

გაზეთი ,,სახალხო გაზეთი" (1914). # 110.

გაზეთი ,,საქართველო". (1916). # 159, 2.

გაგოშიძე, მ. ჩიხლაძე, ნ. (2006). დირბის ეკლესიის მიძინების მონასტერი. თბილისი.

გვასალია, ჯ. (1989). ფრონის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. VII.* 11-13.

გოგალაძე, ვ. (1968). *სოფელი ავნევი.* ცხინვალი: გამომცემლობა ,,ირისთონ".

ზაქარია, პ. (1958). საამილახროსა და ზემო ქართლის სადროშო XVI-XVIII სს. ციხე-სიმაგრეები. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.* ტ. 20. #1., 119.

თაყაიშვილი, ე. (1907). *1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი. არქეოლოგიური მოგზაურბანი და შენიშვნები. წიგნი.I. ტფილისი.*

თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი. (2009). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და გამოკვლევითა გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ. თბილისი.

კახელი, დ. (1913). არჩილ ჯორჯაძე და ხიზნობა. *ჟურნალი ,,კლდე" . # 17.* 6.

კობერიძე, მ. (2011). *ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა.* თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი.

კობერიძე, მ. (2025). ფრონის ხეობის სოფელი ავნევი ქართულ-თურქულ ისტორიულ დოკუმენტებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია.* XIV.

მაკალათია, ს. (1963). *ფრონის ხეობა.* 14: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

მეგრელიძე, ი. (1981) . ყორნისს ზეით წორბისს. *გაზეთი ,,კომუნისტი".* #138. 3.

მეგრელიძე, ი. (1997). *სიძველეები ლიახვის ხეობაში. 2.* თბილისი: გამომცემლობა: ,,სამშობლო ფორტე".

რევოლუციის მატიანე. (1924). #4-5. თბილისი.

საქართველოს მუზეუმი, ფ. Hd, 2273.

ტყეშელაშვილი, ო. (1990). წარწერები ფრონის ხეობიდან. *ლიტერატურული საქართველო,* 14 დეკემბერი.#50.

ქართლის ცხოვრება. (1959). ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ტ. II. თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება".

შიდა ქართლი. ზნაურის (ყორნისის) რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა. 1983-1984 წლების ექსპედიციის მასალები (2004). თბილისი: გამომცემლობა ,,საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი".

შოშიტაშვილი, ნ. (1980). *ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპიდარული წარწერები.* თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება".

ცენტრალური საქართველოს სახელმწიფო არქივი. ფ. 12. საქმე 53.ფ. 48. ს. 433.

ჯაგარიძე, გ. (1980). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.5. თბილისი.

ჯორჯაძე, ა. (1911). *ეროვნული პრობლემის გარშემო (პოლემიკური წერილები). წიგნი პირველი.* ტფილისი: გამომცემლობა ,,სორაპანი".

Ткешелашвили, О. В. (1984). *Предваарительныи отчет о работе Цорбиссой экпедиции -Полевые археологические исследования в 1981 году.* Твилиси.

References

antelava, i. & guchua, v. (1967). *sakartveloshi sotsialuri urtiertobis ist'oriidan [From the history of social relations in Georgia].* tbilisi.

bagrat'ioni, v. (1941). *aghts'era sameposa sakartvelosa (sakartvelos geograpia)[Description of the Kingdom of Georgia (Geography of Georgia)].* tbilisi.

bagrat'ioni, v. (1992). geograpia[*geograpia].* ts'ogni gamosatsemad moamzada m. janashvilma. tbilisi.

bagrat'ioni, i. (1986). *kartl-k'akhetis aghts'era [Description of Kartli-Kakheti].* t'ekst'i gamosatsemad moamzades, gamok'vleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma. tbilisi.

gazeti ,,*isari"[Isari].* (1907). # 208, 3.

gazeti ,,*sakhalkho gazeti" [Sakhalkho gazeti].* (1911). # 236, 1.

gazeti ,,sakhalkho gazeti"*[[Sakhalkho gazeti].* (1913). # 1042, 3.

gazeti ,,sakhalkho gazeti" *[Sakhalkho gazeti].* (1913). # 1059, 3.

gazeti ,,sakhalkho gazeti" *[Sakhalkho gazeti].* (1914). # 110.

gazeti ,,sakartvelo" [Newspaper "Georgia"]. (1916). 19 ivlisi, # 159, 2.

gagoshidze, m. chikhladze, n. (2006). *dirbis ek'lesiis midzinebis monast'eri [Dormition Monastery of the Church of the Assumption of the Virgin Mary].* tbilisi.

gvasalia, j. (1989). pronis kheobis ist'oriuli geograpiis sak'itkhebi[Issues of historical geography of the Fron Valley]. *sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli [Collection of Historical Geography of Georgia].* VII. tbilisi: ,, metsniereba".

gogaladze, v. (1968). sopeli avnevi *[The village of Avnevi].* tskhinvali: gamomtsemloba ,,iriston".

zakaria, p'. (1958). saamilakhvrosa da zemo kartlis sadroshes XVI-XVIII ss. tsikhe-simagreebi[Fortresses of the 16th-18th centuries of the Saamilakhvro and Zemo Kartli provinces]. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis moambe *[Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR].* t'. 20. #1, 119.

taqaishvili. e. (1907). 1715 ts'lis ruisis samts'qsos davtari *[The Ruisi herd register of 1715]. arkeologiuri mogzaurobani da shenishvnebi [Archaeological Travels and Notes].* ts'igni I. t'pilisi

tbilisis vilaietis 1728 ts'lis didi davtari *[The Detailed Register of Tbilisi Province, 1728].* (2009). turkuli t'ekst'i kartuli targmanit, shesavlit da gamok'vlevita gamosatsemad moamzades ak'ademik'osma sergi jikiam da p'ropesorma nodar shengeliam. tbilisi.

k'akheli, d. (1913). archil jorjadze da khiznoba[Archil Jorjadze and Khizinoba]. *zhurnali ,,k'lde"[klde]* . # 17. 6.

k'oberidze, m. (2011). *zemoach'arulis dargobrivi leksik'a[Zemoadjaruli's sectoral vocabulary].* tbilisi: gamomtsemloba ,,meridiani.

k'oberidze, m. (2025). pronis kheobis sopeli avnevi kartul-turkul ist'oriul dok'ument'ebsa da etnograpiul masalebshi*[The village of Avnevi in the Fron Gorge in Georgian-Turkish historical documents and ethnographic materials]. ist'oria, arkeologia, etnologia[History, archaeology, ethnology].* XIV.

mak'alatia, s. 1963. *pronis kheoba [Fron Valley].* tbilisi.

megrelidze, i. (1981) . qorniss zeit ts'orbiss[The crow is covered with oil]. *gazeti ,,k'omunist'i"[Komunisti].* #138. 14 , 3.

megrelidze, i. (1997). *sidzveleebi liakhvis kheobashi. p'at'ara liakhvis, pronis, pats'asa da jejoris kheobebi. ts'igni meore [Antiquities in the Liakhvi Gorge. The valleys of Patara Liakhvi, Fron, Patsa and Jejori].* tbilisi: gamomtsemloba ,,samshoblo port'e".

revolutsiis mat'iane[Revolutsiis matiane]. (1924).#4-5 tbilisi.

sakartvelos muzeumi [Sakartvelos muzeumi]. p. Hd, 2273.

t'qeshelashvili, o. (1990). ts'arts'erebi pronis kheobidan[Inscriptions from the Phron Valley]. *lit'erat'uruli sakartvelo [Literaturuli Sakartvelo],* 14 dek'emberi.#50.

kartlis tskhovreba *[Life in Kartli].* (1959). t'. II. t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tbilisi: gamomtsemloba ,,sabch'ota sakartvelo".

kartuli samartlis dzeglebi [Monuments of Georgian law]. (1965). t'. II. tbilisi: gamomtsemloba ,,metsniereba".

shida kartli. znauris (qornisis) raionis arkit'ekt'uruli memk'vidreoba. 1983-1984 ts'lebis eksp'editsiis masalebi[Shida Kartli. Architectural heritage of Znauri (Kornisi) district. Materials of the 1983-1984 expedition] (2004). tbilisi: gamomtsemloba ,,sakartvelos dzeglta datsvis dep'art'ament'i".

shoshit'ashvili, n. (1980). *kartuli ts'arts'erebis k'orp'usi. I. lap'idaruli ts'arts'erebi [Corpus of Georgian Inscriptions. I. Lapidary Inscriptions]. t*bilisi: gamomtsemloba ,,metsniereba".

tsent'raluri sakartvelos sakhelmts'ipo arkivi [Central Georgian State Archives]. p. 12. sakme 53.p. 48. s. 433.

jagaridze, g. (1980). *kartuli sabch'ota entsik'lop'edia [Georgian Soviet Encyclopedia].* t'.5. tbilisi.

jorjadze, a. (1911). *erovnuli p'roblemis garshemo (p'olemik'uri ts'erilebi)[Around the national problem (polemical letters)].* ts'igni p'irveli. t'pilisi: gamomtsemloba ,,sorap'ani".

Tkeshelashvili, O. V. (1984). *Predvaarytel'nyyy otchet o rabote Corbyssoj экpedicii-Polevie arheologycheskie issledovanja v 1981 godu [Предвааритель*ный очень о работы *Цорбиссой экпедиции - Полевые археокоелические исследование в 1981 году].* Tbilisi.